

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.cec.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 09 მარტი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია


საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

www.cec.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით





საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ


1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცესკოს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცესკოს თავმჯდომარის კომპეტენციის (ცესკოს რეგლამენტით განსაზღვრული ფუნქციების) აღწერა და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები - მისაღების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი.

განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „ცესკო“ – „შემადგენლობა“ მოცემულია ცესკოს თავმჯდომარის მხოლოდ სახელი და გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

საარჩევნო ადმინისტრაცია	
მედიისათვის	»
კონფერენციები	»
არქივი	»
შემადგენლობა	
სამართლებრივი აქტები	»
ვაკანსიები	

ზურაბ ხარატიშვილი - თავმჯდომარე



დაბადების თარიღი: 1967 წლის 14 ნოემბერი


განათლება: 1992 წ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მექანიკა მათემატიკის ფაკულტეტი.
1996 წ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი.

ამასთან, ხსენებული ქვე-განყოფილება მომხმარებლისათვის რთულად ხელმისაწვდომია, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის ცესკოს თავმჯდომარის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში. სასურველია, ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული განყოფილება, სათაურად „ხელმძღვანელი პირები“. ხოლო ხსენებულ განყოფილებაში, თავის მხრივ, სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად - „კომისიის თავმჯდომარე“, სადაც ვებ-გვერდზე უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდებოდა ცესკოს თავმჯდომარის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

- არ მოიძიება ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის კომპეტენციის აღწერა (ცესკოს რეგლამენტით განსაზღვრული ფუნქციები) და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი.

განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „ცესკო“ – „შემადგენლობა“ მოცემულია ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

დავით კირთაძე - თავმჯდომარის მოადგილე



დაბადების თარიღი: 1979 წლის 15 მარტი

განათლება: 2000 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის სპეციალობით.

**დამატებითი
ინფორმაცია:**

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;

საკონტაქტო ტელ: 251 00 51 - 102

ამასთან, ხსენებული ქვე-განყოფილება მომხმარებლისათვის რთულად ხელმისაწვდომია, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში. სასურველია, ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული განყოფილება, სათაურად „ხელმძღვანელი პირები“. ხოლო ხსენებულ განყოფილებაში, თავის მხრივ, სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად - „თავმჯდომარის მოადგილე“, სადაც ვებ-გვერდზე უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდებოდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

- არ მოიძიება ცესკოს მდივნის კომპეტენციის აღწერა (ცესკოს რეგლამენტით განსაზღვრული ფუნქციები) და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი.

განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „ცესკო“ – „შემადგენლობა“ მოცემულია ცესკოს მდივნის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

გიზო მჭედლიძე - კომისიის მდივანი



დაბადების თარიღი:

1960 წლის 25 ივლისი

განათლება:

1983 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით.

**დამატებითი
ინფორმაცია:**

ფლობს რუსულ ენას;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;

საკონტაქტო ტელ: 251 00 51 - 103

ამასთან, ხსენებული ქვე-განყოფილება მომხმარებლისათვის რთულად ხელმისაწვდომია, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის ცესკოს მდივნის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში. სასურველია, ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული განყოფილება, სათაურად „ხელმძღვანელი პირები“. ხოლო ხსენებულ განყოფილებაში, თავის მხრივ, სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება სათაურად - „ცესკოს მდივანი“, სადაც ვებ-გვერდზე უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად განთავსდებოდა ცესკოს მდივნის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცესკოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ არ მოიძიება ცესკოს საფოსტო მისამართი, ფაქსის ნომერი და ზოგადი ელ.ფოსტის მისამართი. ამასთან, ხსენებულ განყოფილებაში მართალია წარმოდგენილია პრესასთან და საზოგადოებასთან ერთიერთობის დეპარტამენტის უფროსის საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ტელეფონის ნომერიც:

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზი: 251 - 00 - 51

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქეთევან დანგაძე - საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
577 57 95 15
kdangadze@cec.gov.ge

ქეთევან ჯანელიძე - პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
577 99 89 38; 599 49 82 82
kjanelidze@cec.gov.ge

სერტიფიცირებასთან დაკავშირებით დარეკეთ

ტელ: 251 00 51 - შიდა ტელ: 161

საქმისწარმოების დეპარტამენტი (კანცელარია)

ელ-ფოსტა: correspondence@cec.gov.ge

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცესკოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების [დეპარტამენტების და განყოფილებების] სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ცესკოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“ სადაც განთავსდება ცესკოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ცესკოს უფლებამოსილებების აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცესკოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- განცალკევებით არ მოიძიება ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ვალდებულებების აღწერა;
- არ მოიძიება ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციათა აღწერა (სტრუქტურული ერთეულების დებულებებისგან განცალკევებით).

განყოფილებაში „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „ცესკო“ – „აპარატი“ მოცემულია სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:

მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაცია — შემადგენლობა — ცესკო — აპარატი
კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტი
საორგანიზაციო დეპარტამენტი
იურიდიული დეპარტამენტი
ადმინისტრაციული დეპარტამენტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი
საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი - ელისაბედ ველიძე

ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილება

განყოფილების უფროსი - ჯანსუღ კორძაია

მთავარი ბუღალტერი (III კატეგ.) - გულნარა კირთაძე

სპეციალისტი (III კატეგ.) - ბექა ბეგიაშვილი

სპეციალისტი (III კატეგ.) - ვახტანგ კვატაშიძე

სპეციალისტი (III კატეგ.) - ხათუნა გალდავა

სპეციალისტი (I კატეგ.) - ირმა შარვაძე

სპეციალისტი (I კატეგ.) - მიხეილ ბაინდურაშვილი

საქმისწარმოების განყოფილება (კანცელარია)

განყოფილების უფროსი - ლალი კიკნაძე

სპეციალისტი (II კატეგ.) - სოფიკო ჭკადუა

მიმაგრებული დოკუმენტები:

 ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულება

- არასრული სახით არის წარმოდგენილი აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტები. კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მოცემულია მხოლოდ საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსისა და პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი. ამასთან, მოყვანილი სახელწოდებებით ხსენებული დეპარტამენტი და სამმართველო ცესკოს მოქმედი რეგლამენტით განსაზღვრულ აპარატის სტრუქტურულ ერთეულებად გათვალისწინებულნი არ არიან:

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი. მე-13 კმ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზი: 251 - 00 - 51

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქეთევან დანგაძე - საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
577 57 95 15

kdangadze@cec.gov.ge


ქეთევან ჯანელიძე - პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
577 99 89 38; 599 49 82 82

kjanelidze@cec.gov.ge

სასურველია, ხსენებულ განყოფილებაში სრული სახით განთავსდეს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- არ მოიძიება ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

რაც შეეხება ცესკოს სტრუქტურულ ხეს (სქემატური ნახატს), რომელიც წარმოდგენილია განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „ცესკო“ – „სტრუქტურა“: ხსენებული ქვე-განყოფილება მომხმარებლისათვის რთულად ხელმისაწვდომია, რაც სირთულეს ქმნის ცესკოს სტრუქტურის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისას. სასურველია ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „სტრუქტურა“, სადაც განთავსდებოდა ცესკოს სტრუქტურის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია:



თამაზ შარმანაშვილი - კომისიის წევრი



დაბადების თარიღი: 1969 წლის 27 აპრილი

განათლება: 1993 წ.-თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მიკროელექტრონიკისა და ნახევარგამტარული ხელსაწყოების სპეციალობა; 2000-2003 წ. წ. - საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციის და ტექნოლოგიის ინსტიტუტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა.


კონსტანტინე კირვალიძე - კომისიის წევრი



დაბადების თარიღი: 1977 წლის 20 აპრილი

განათლება: 2000 წ. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

იოსებ თათარაშვილი - კომისიის წევრი



დაბადების თარიღი: 1975 წლის 10 ივლისი

განათლება: 1997 წელს დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ - ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის იურიდიულ - ეკონომიკური ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა - მენეჯმენტის სპეციალობით.


ვალერი ჭელიძე – კომისიის წევრი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ევროპელი დემოკრატები")



დაბადების თარიღი: 1976 წლის 31 ივლისი

განათლება: 1998 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი მექანიზაციის ფაკულტეტი სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის სპეციალობით.

გოჩა ჯოჯუა - კომისიის წევრი (პოლიტიკური გაერთიანება "ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა")



დაბადების თარიღი: 1962 წლის 24 სექტემბერი

9. ვებ-გვერდზე არს მოიძიება კომისიის საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) უფლებამოსილებების აღწერა (შესაბამისი რეგლამენტისაგან განცალკევებით);
- არ მოიძიება საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) ხელმძღვანელების უფლებამოსილებების აღწერა (შესაბამისი რეგლამენტისაგან განცალკევებით);
- არ მოიძიება საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) ხელმძღვანელების ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები. განყოფილებაში სათაურად

„საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „საარჩევნო ოლქები“ - „შემადგენლობა“ მოცემულია საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:

მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაცია — შემადგენლობა — საარჩევნო ოლქები — შემადგენლობა	
№1	მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია
№2	ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია
№3	საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია
№4	კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია
№5	ისნის საოლქო საარჩევნო კომისია
№6	სამგორის საოლქო საარჩევნო კომისია
№7	ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისია
№8	დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია
№9	ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისია
№10	გლდანის საოლქო საარჩევნო კომისია
№11	საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია
№12	გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია
№13	სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისია
№14	დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია
№15	ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისია

1
2
3
4
5
შემდეგი
ბოლო

№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქეთევან წამებულის გამზ. #92

ტელ. 274-59-53, 274-59-54

№	თანამდებობა	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	თავმჯდომარე	ზაალ თათრისშვილი	597 70-07-71
2	მოადგილე	დიმიტრი ჯავახაძე	
3	მდივანი	ნინო დათუაშვილი	
4	წევრი	გიორგი კუნელაური	
5	წევრი	თამთა თელია	

№4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია

№4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ტაბიძის #4

ტელ. 299-70-85, 299-70-86

№	თანამდებობა	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	თავმჯდომარე	ლამა შურღია	599 70-82-33 591 51-36-26
2	მოადგილე	დავით ფეტვიანშვილი	
3	მდივანი	გვანცა გუგავა	
4	წევრი	ვასილ ჭიბრიშვილი	
5	წევრი	ხათუნა ჯიხვაძე	

- არ მოიძიება საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) ხელმძღვანელების შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები. განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „შემადგენლობა“ – „საარჩევნო ოლქები“ - „შემადგენლობა“ მოცემულია საარჩევნო ოლქების (საოლქო საარჩევნო კომისიების) ხელმძღვანელების მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

№14 დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია

14 დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას '44 (გამგეობის შენობა)
ტელ. +(995 90) 13-41-14, +(995 256) 2-25-80

№	თანამდებობა	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	თავმჯდომარე	დავით ბურჯუაძე	577 93-13-28 593 45-77-02
2	მოადგილე	რუსუდან ლათიფაშვილი	
3	მდივანი	ნინო ბულაშვილი	
4	წევრი	დავით მამლარაშვილი	
5	წევრი	ნინო მჭედლიშვილი	

№13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისია

№13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის მოედანი №2 (გამგეობის შენობა)
ტელ. +(995 90) 22-12-13, +(995 255) 3-17-98

№	თანამდებობა	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	თავმჯდომარე	მამუკა კორაშვილი	599 92-35-48 577 97-96-51
2	მოადგილე	ალექსი გოგაშვილი	
3	მდივანი	ვახტანგ მესტიაშვილი	
4	წევრი	ოთარ ლათიბაშვილი	
5	წევრი	ნოდარ ყანდაშვილი	

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, პროგრამებისა და პროექტების მონაცემთა ბაზა და ა.შ.

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი მონაცემთა ბაზები:

- იმ საარჩევნო კომისიის წევრთა შესახებ მონაცემთა ბაზა, რომელთა მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ, რომლებიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, რომელთაც შეეფარდათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ დეპარტამენტთან ერთად შედგენილი არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საჭირო დაფინანსების გეგმა;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შედგენილი წლიური შესყიდვების გეგმა, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვაზე შედგენილი ოპერატიული, კვარტალური და წლიური ანგარიშები;
- დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; შემუშავებული პროგრამული ბიუჯეტ(ები) (პროგრამა, ქვეპროგრამა, ღონისძიება); აგრეთვე, უფლებამოსილების ფარგლებში მომზადებული განსაზღვრულ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მედიისათვის“ არსებული ქვე-განყოფილება „ანონსი“ ცარიელია და იუწყება, რომ ინფორმაციას მომხმარებელს მიაწვდის უახლოეს მომავალში:



- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცესკოს ხელმძღვანელი პირის მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების ან/და ბრიფინგების ტექსტები:

მთავარი — მედიისათვის — პრეს რელიზები	
09.03.2012	9 მარტის სხდომის შედეგები
06.03.2012	შეხვედრა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით
02.03.2012	2 მარტის სხდომის შედეგები
02.03.2012	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში ვაკანტურ თანამდებობებზე დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგები
28.02.2012	28 თებერვლის სხდომების შედეგები
22.02.2012	პროფესიული განვითარების ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის
16.02.2012	ცესკოს საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა
09.02.2012	საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მეორე ყოველწლიური შეხვედრა
03.02.2012	3 თებერვლის სხდომის შედეგები
03.02.2012	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციასთან
30.01.2012	ცესკოს თავმჯდომარე ევროპის საბჭოს პროგრამის მენეჯერს შეხვდა
30.01.2012	30 იანვრის სხდომის შედეგები
30.01.2012	შეხვედრა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით
23.01.2012	საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები BRIDGE-ის პროგრამის მიხედვით ტრენინგებს გაივლიან
18.01.2012	ცესკოს თავმჯდომარის შეხვედრები იმერეთის რეგიონში

12. ცესკოს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები მიმოფანტულად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე. მაგ.:

- „არქივი“ – „შუალედური არჩევნები“ – „სხვა ინფორმაცია“ – „2011 წლის 2 ოქტომბრის შუალედური არჩევნების პერიოდში შესრულებული სამუშაოს ანგარიში“:

შუალედური არჩევნები
2011 წლის არჩევნები

არჩევნები
2010 წლის არჩევნები

შუალედური არჩევნები
2008 წლის არჩევნები

საპარლამენტო არჩევნები
2008 წლის არჩევნები

საპრეზიდენტო არჩევნები
2008 წლის არჩევნები

ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნები
2006 წლის არჩევნები

ხელახალი / შუალედური
არჩევნები
2005 წლის არჩევნები

არჩევნები
2004 წლის არჩევნები

საარჩევნო ოლქი და უბნები

პოლიტიკური პარტიები

ს/ს ფონდების ანგარიშები

სხვა ინფორმაცია

დამკვირვებლები

შედეგები 2011

მთავარი — შუალედური არჩევნები 2011 — სხვა ინფორმაცია

2011 წლის 2 ოქტომბრის შუალედური არჩევნების პერიოდში შესრულებული სამუშაოს ანგარიში

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №17 თელავის საარჩევნო ოლქში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 2 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგების შემოწმებული ოქმი

№17 თელავის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა უბნების მიხედვით

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა თელავის საარჩევნო ოლქში

შესავსები ფორმები მედიისთვის (ყოველკვირული ანგარიშის წარსადგენად)

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების სახელმძღვანელო ინსტრუქცია

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სახელმძღვანელო ინსტრუქცია

- „არქივი“ – „201 წლის არჩევნები“-

შუალედური არჩევნები 2011 წლის არქივი	
არჩევნები 2010 წლის არქივი	
შუალედური არჩევნები 2008 წლის არქივი	
საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის არქივი	
საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის არქივი	
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2006 წლის არქივი	
ხელახალი / შუალედური არჩევნები 2005 წლის არქივი	
არჩევნები 2004 წლის არქივი	
საარჩევნო ოლქები და უბნები	ამომრჩეველთა სია
პოლიტიკური პარტიები	დამკვირვებლები
სხვა ინფორმაცია	ს/ს ფონდის ანგარიშები
მედია მონიტორინგი	შედეგები 2010
წერილები	2010 წლის არჩევნების ანგარიში

- „არქივი“ – „შუალედური არჩევნები“ – „2008 წლის 3 ნოემბრის შუალედური არჩევნების ანგარიში“:

შუალედური არჩევნები
2011 წლის არქივი

არჩევნები
2010 წლის არქივი

შუალედური არჩევნები
2008 წლის არქივი

საპარლამენტო არჩევნები
2008 წლის არქივი

საპრეზიდენტო არჩევნები
2008 წლის არქივი

ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნები
2006 წლის არქივი

ხელახალი / შუალედური
არჩევნები
2005 წლის არქივი

არჩევნები
2004 წლის არქივი

მთავარი — არქივი — შუალედური არჩევნები

3 ნოემბრის შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი

ტრენინგები

განკარგულება № 37 / 2009
საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №7 ჩუღურეთის, №12 გურჯაანისა და №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

დადგენილება № 2/2009
საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 27 სექტემბრის შუალედური არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ

2008 წლის 3 ნოემბრის შუალედური არჩევნების ანგარიში

ამასთან, ანგარიშის ტიპის უახლესი ცნობები მოცემულია აგრეთვე განყოფილებაში „მედიისათვის“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საინფორმაციო ბიულეტენი“:

01.03.2012 | 2012 წლის 29 თებერვალი

01.02.2012 | 2012 წლის 31 იანვარი

30.12.2011 | 2011 წლის 30 დეკემბერი

30.11.2011 | 2011 წლის 30 ნოემბერი

31.10.2011 | 2011 წლის 31 ოქტომბერი

30.09.2011 | 2011 წლის 30 სექტემბერი

31.08.2011 | 2011 წლის 31 აგვისტო

31.07.2011 | 2011 წლის 31 ივლისი

30.06.2011 | 2011 წლის 30 ივნისი

31.05.2011 | 2011 წლის 31 მაისი

02.05.2011 | 2011 წლის 2 მაისი

31.03.2011 | 2011 წლის 31 მარტი

28.02.2011 | 2011 წლის 28 თებერვალი


30.01.2011 | 2011 წლის 30 იანვარი

30.12.2010 | 2010 წლის 30 დეკემბერი

სასურველია, მთავარ გვერდზე თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული (ქვე-) განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“, სადაც მოყვანილი იქნება, როგორც ზემოთ ხსენებულ ქვე-განყოფილებებში არსებული ანგარიშები, აგრეთვე, ცესკოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები;

13. ცესკოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, აგრეთვე, მონაცემები, რომლებიც ასახავენ ცესკოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებული სიტუაციის განვითარების დინამიკას, მოყვანილია განყოფილებაში „არქივი“ და ცესკოს საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში, რაც ნაკლებად თვალსაჩინოა და სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ;

- საოლქო საარჩევნო კომისია - 4 წევრი;
- საქართველოს კონსერვატიული პარტია - 32 წევრი;
- ევროპელი დემოკრატები - 10 წევრი;
- ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია - 8 წევრი;
- პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2 წევრი;
- პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - 3 წევრი;
- პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ - 5 წევრი.



15. დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი, კერძოდ:

მთავარი — არქივი — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

საქართველოს დედაქალაქის - თბილისის თვითმმართველობის ორგანოს საკრებულოს 2006 წლის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი

საარჩევნო დავები

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არსებული ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სტატისტიკა

პარტიების და საარჩევნო ბლოკების რიგიტობა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიების და საარჩევნო ბლოკების რიგიტობა

საარჩევნო უბნების დაზუსტებული საზღვრები საარჩევნო ოლქების მიხედვით

დამკვირვებელი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქების მიხედვით

მაჟორიტარ კანდიდატთა სია

ამომრჩეველთა აქტივობა

სასურველია, მთავარ გვერდზე, თვალსაჩინო ადგილას შეიქმნას განცალკევებული განყოფილება (ბანერი) სათაურად „სტატისტიკა“, სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნული და სხვა სახის სტატისტიკური მაჩვენებლები.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „პროექტები/პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების/პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცესკო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების/პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცესკო.

15. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცესკოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი აქტები“ ცესკოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები (არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე სამართლებრივი აქტების პროექტები:



**სამართლებრივი
აქტები**

მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაცია — სამართლებრივი აქტები

დადგენილებები	ოქმები
განკარგულებები	თავმჯდომარის განკარგულებები
მდივნის განკარგულებები	კანონები
საარჩევნო ბიბლიოთეკა	განცხადება/საჩივრის ფორმები

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

გარდა ამისა, სასურველია თავმჯდომარის და მდივნის განკარგულებები არსებობის შემთხვევაში მოიძიებოდეს 2012 წლის მდგომარეობითაც:

მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაცია — სამართლებრივი აქტები — თავმჯდომარის განკარგულებები

« < სამართლებრივი აქტები

განკარგულება №3/2011
საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის მოწვევის შესახებ

განკარგულება №2/2011
საოლქო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომების მოწვევის შესახებ

განკარგულება №1/2011
საოლქო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომების მოწვევის შესახებ

განკარგულება №2/2010
ცესკოში შემოსული (სარეგ. №08; №07-2577) საარჩევნო ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ (ი. ალასანია, ს. სუმბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი) წარმომადგენლის თ. ზიდაშელის 2010 წლის 11 და 14 მაისის განცხადებების თაობაზე

განკარგულება №1/2010
ცესკოში შემოსული (სარეგ. №20) „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორის ეკატერინე სირამე-დელონეს 2010 წლის 18 მაისის განცხადების თაობაზე

განკარგულება №2-2008 წელი
№49 კლერის და №50 ალკუტის საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულების მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფების პირველი სხდომის მოწვევის შესახებ

დადგენილებები

ოქმები

განკარგულებები

თავმჯდომარის განკარგულებები

მდივნის განკარგულებები

კანონები

რიგი სამართლებრივი აქტების სიმრავლიდან გამოდინარე დამატებით ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას სამართლებრივი აქტების თემატური საძიებო სისტემა (ფილტრაცია დოკუმენტის მიღების თარიღის, დოკუმენტის ტიპის, საკვანძო სიტყვის და ა.შ. მიხედვით), სადაც მოყვანილი იქნება მუდმივად განახლებადი სამართლებრივი აქტები უახლესი მდგომარეობით.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება, სადაც განთავსდებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცესკოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/cesko_infostatistics.pdf);

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას, სასურველია არსებობდეს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცესკოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ცესკოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ცესკო-ს მიერ სარეკლამო რგოლის დამზადებასთან, სარეკლამო რგოლის ტელევიზორებში განთავსებასთან და შპს „მაგი სტილ მედიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებასთან (2009-2010-2011 წწ.) დაკავშირებით, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც

შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულებზე:

http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh_006%20aqvisto.pdf

<http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh08-04.pdf>

<http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh02-04.pdf>

<http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh20-11.pdf>

<http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh%2016-11.pdf>

http://www.opendata.ge/userfiles/files/xelsh_3apr_2009.pdf).

19. ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას, სასურველია არსებობდეს (ქვე)-განყოფილება სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ცესკოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ცესკოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. **(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის კომისიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:**

http://www.opendata.ge/pdf_files/cesko_shesqidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის კომისიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/cesko_shesqidvebi.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

20. განყოფილებაში სათაურად „საარჩევნო ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ვაკანსიები“ განთავსებული ინფორმაცია ძალზედ მჭირია:

შემაღგენლობა »

სამართლებრივი აქტები »

ვაკანსიები 🔍

მთავარი — საარჩევნო ადმინისტრაცია — ვაკანსიები

ვაკანსია №40 ახალქალაქის, №57 ტყიბულისა და №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში

ამასთან, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები მოცემულია ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ცესკოს საქმედებების შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში:

ინფორმაცია ცესკოს აპარატში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის II ეტაპის შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის 7-10 ნოემბერს გაიმართა ცესკოს აპარატში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის II ეტაპი (გასაუბრება).

სტაჟიორების კომისიამ განიხილა გასაუბრების შედეგები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

სტაჟიორებად არჩეულ იქნენ შემდეგი კანდიდატები:

საქმისწარმოების დეპარტამენტი:

1. შუმანიკა გელოვანი;

2. ანა დგებუაძე;

იურიდიული დეპარტამენტი:

1. გიორგი გოგიაშვილი;

2. სოფიო კვიტაიშვილი;

3. ცისანა ყაველაშვილი;

საორგანიზაციო დეპარტამენტი:

1. გიორგი აზარიაშვილი;

2. გიორგი ზაინდურაშვილი;

საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

1. ნინო ბაზიკოშვილი;

2. ელენე ცინცაძე;

3. ჯვანცა ტულუში;

საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტი:

1. გიორგი არეცაძე;

2. ელენე ვაშაძე;

3. ანა წოზაძე;

4. ჯემალ ჩხოლარია;

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი:

1. მადეა ბუთიაშვილი;

2. ნათია ლვინჯილია;

3. ნინო სამხარაძე;

ცესკოს სტაჟიორების კომისიამ მადლობას უხდის აღნიშნულ კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს და უსურვებს წარმატებებს!

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში ვაკანტურ თანამდებობებზე დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგები

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით:

ცესკოს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო და ბუღალტრული აღირცხვისა და ანგარიშების სამმართველოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნა **თეა ხუზია**.

ცესკოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნა **ეკატერინე აზარაშვილი**.

ცესკოს საქმისწარმოების დეპარტამენტის საოქმო-სარეგისტრაციო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნა **სოფიკო ჭკადუა**.

ცესკოს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნა **მიხეილ ბაინდურაშვილი**.

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე ცესკოს ვაკანსიათა არქივი (წლების მიხედვით), აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცესკოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას, სასურველია არსებობდეს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ფინანსური მონაცემები“, სადაც მომხმარებელთვის ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით ცალკეული სექციების სახით განთავსდებოდა:

- ცესკოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- ცესკოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის*

ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/cesco_budget.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/budget_cesko.pdf;

- ცესკოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/cesko_xelfasebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/cesko_xelfasipremia.pdf

აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გაუგზავნა განცხადება, რომლითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე ითხოვდა თანამშრომელთა სიას და ინფორმაციას კომისიის თავმჯდომარის, წევრებისა და სხვა თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც


შესაძლებელს ხდის ცესკოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოდიფიკაციას იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/cesco_xelfasisaia.pdf);

- ცესკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცესკო;
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცესკოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდი გამოირჩევა მონაცემთა ბაზების სიუხვით, რომელთა მოძიების გაადვილების კუთხით მომხმარებელთათვის შესაძლებელია ხსენებული მონაცემთა ბაზების ფილტრაციის ფუნქციების დამატება. ამასთან, სხვა საჯარო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, ცესკოს ვებ-გვერდზე ისეთი მონაცემთა ბაზების არსებობა, როგორებიცაა საჩივრების რეესტრი და დადგენილებებისა და განკარგულების მდიდარი ბაზა უდავოდ დადებით ფაქტად შეიძლება აღქმულ იქნეს ცესკოს ელ.გამჭვირვალობის მაჩვენებლის კუთხით.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი


■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ნავიგაციის ბლოკი არასტანდარტულია, მომხმარებელს შეიძლება გაუჭირდეს აღნიშნულ მოდულში ნავიგაცია, ამიტომ სასურველია ნავიგაციის ახლოს მომხმარებელს შევთავაზოთ ვებ-გვერდის რუკით ინფორმაციის მოძიება ან სხვა ალტერნატიული ნავიგაციის მოდული.

ამჟამინდელი ნავიგაციის მოდული:



➤ ძიება

ვებ-გვერდის ძიებას მოდულს უნდა ჰქონდეს საშუალება ძიების შედეგებში გამოკვეთოს საძიებო სიტყვები. გამოკვეთილი სიტყვებით მომხმარებელი უფრო მარტივად მიაგნებს თავისთვის სასურველ ინფორმაციას.

ამჟამად ვებ-გვერდზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული.


მაგ:

მთავარი — მივების რეზულტატი	
ნაპოვნია 125 რეზულტატი	
17.05.2008	მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი ცენტრალური საარჩევნო კომისია და აპარატის რამოდენიმე დეპარტამენტი არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე გადავიდა და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაგარინის 29ა ნომერში მდებარე შენობაში გააგრძელეს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას.
17.05.2008	პრეს რელიზი 16 მაისს ცესკოს თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, სადაც აღწერილია საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხმების დათვლის პროცედურები.
15.05.2008	პრეს რელიზი ცენტრალური საარჩევნო კომისია და აპარატის რამოდენიმე დეპარტამენტი არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე გადავა და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაგარინის 29ა ნომერში მდებარე შენობაში გააგრძელეს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას.
08.09.2006	2006 წლის 8 სექტემბერი
17.11.2006	2006 წლის 17 ნოემბერი
01.12.2006	2006 წლის 1 დეკემბერი
23.03.2007	2007 წლის 23 მარტი
05.02.2007	2007 წლის 2 თებერვალი
15.06.2007	2007 წლის 15 ივნისი
22.06.2007	2007 წლის 22 ივნისი

ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის მივების მოდულში ავტომატურად უნდა იწერებოდეს ქართული უნიკოდით.

ამჟამად ვებ-გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაცული.

მაგ:



➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდს აქვს რამოდენიმე RSS არხი, თუმცა ყველა მათგანი არ არის გამართული.

მაგალითა შემდეგ RSS არხში ბმულები არასწორად გენერირდება:



მათზე დაჭერით ვხვდებით ცარიელ გვერდზე:



➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდს გააჩნია ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელ Facebook-ში. თუმცა მასთან ინტეგრაცია გამოიხატება მხოლოდ Facebook-ის ოფ. გვერდზე გადასასვლელი ბანერით. სხვა მხრივ ოფიციალურ გვერდს Facebook-ის გვერდთან კავშირი არ აქვს.

უნივერსიტეტის სტუდენტების შეხვედრა საარჩევნო
5

რე ევროპის საბჭოს პროგრამის მეწევეებს შეხვდა

ელთა ერთიანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით

კომისიების წევრები BRIDGE-ის პროგრამის მიხედვით
ან

ევრო კოდექსი

ზრის შუალედური არჩევნების პერიოდში შესრულებული

ზრის შუალედური არჩევნების შემაჯამებელი ოქმი

ჯრაცია 2011-2015 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი
სიაქვეყნა

რალური საარჩევნო კომისიის ანგარიში 2010 წლის 30 მაისის


იხილეთ არქივი >>

	საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს ფორუმი
	საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
	კითხვა - პასუხი
	ონლაინ ოპერატორი
	შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმაში სასურველია თანდართული იყოს უსაფრთხოების კოდი. კოდის გარეშე მყოფი ფორმებიდან შესაძლებელია გაიგზავნოს დიდი რაოდენობით ელექტრონული გზავნილები, რაც უარყოფითად მოქმედებს სერვერის ფუნქციონირებაზე.

ამჟამინდელი ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმა:



ელ-ფოსტა: support@ncc.gov.ge

თქვენი სახელი: *

თქვენი ელ-ფოსტის მისამართი: *


თქვენი შეტყობინება: *

გაგზავნა


➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდს უნდა ქონდეს საბეჭდი ვერსია, რომელიც ინფორმაციას ცალკე გვერდზე გახსნის, დიზაინის გარეშე. ამჟამად ეს კრიტერიუმი ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული.

მაგ:



ვებ-გვერდს აქვს ონლაინ დახმარების მოდული, სადაც ოპერატორი მუდმივად მზად არის კითხვებზე პასუხის გასაცემად:



ეს აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს, რადგან მსგავსი სერვისი საჯარო ელექტრონულ სივრცეში იშვიათია;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდის მოდულები და ფუნქციები ნორმალურად მუშაობს, თუმცა ზოგიერთი მათგანი საჭიროებს დამატებითი ფუნქციების შეთავსებას და უკვე არსებული ფუნქციების გამოსწორებას.

ზოგადად კომპონენტები, რომლებიც პირველ რიგში უნდა დაიხვეწოს ეს არის ძიების მოდული, საკონტაქტო ფორმები და წესები, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, ელ. ჩართულობა, ელ. სერვისები და უსაფრთხოება.